# ივერია

| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



შინაარსი: ტფილისი, 19 ივნისი.—ახალი ამბავი.—ფოთი-ტფილისის რკინის-გზა.—ნარკვევი.—რუსეთი.—უცხოეთი.—გაართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: უცხოთა შორის, დონიაგოსი.


ტფილისი, 19 ივნისი

ჩვენის ფიქრით, გერმანიამ რომ ჩამოართვა მის ერთ დამარცხებულს საფრანგეთს ელზას-ლოტარენი, ბევრი ხათაბალა აიკიდა ზურგზედ და ეს ხათაბალა ძვირად უნდა დაუჯდეს გამარჯვებულს გერმანიასა თავის დროზედ და დღესაც-კი მეტის მეტად ამძიმებს და აბრკოლებს. მართალია, სახელმწიფონი აქედ-იქით იწევენ გასატებლად, მაგრამ ყოველი შემატება გაძლიერებას არა ჰნიშნავს. პირ-იქით, ზოგჯერ გამატება დაუძლურების მიზეზადაც შეიქმნება ხოლმე და თავ-მოწონება რომ არ უშლიდეს და აბრუს გატეხას არ ერიდებოდნენ, იქნება წინ დაუხედავად შემატებული კიდეც დასთმონ, როცა გადაბრუნებული ურემი გზას დაანახვებს ხოლმე მაგრამ რას იზამ? ყოველს სახელმწიფოს თავის თავ-მოწონება აქვს, თავისი სახელი და აბრუ, როგორც ცალკე ადამიანსა. უამისობაც-კი არ შეიძლება.

ხოლო ჭირი ეს არის, რომ ხშირად ეს თავ-მოწონება და აბრუ ტყუილ უბრალოდ აიმრიზება, უადგილო-ადგილას გამოიჩენს თავსა, უმიზეზო მიზეზით აპილპილდება ხოლმე გუნება-ნაქცევ დედაცსავით და მაშინ ტყუილის თავიდაბით ძლეული და წაღებული სახელმწიფო სამართლიანს გრძნობას პატიოსანის და ჭეშმარიტის თავ-მოწონებისას და აბრუსას ჯიუტობად გადააქცევს ხოლმე. ესე იქცევა დღეს ინგლისი ბ-ნ სალისბერის წინამძღოლობით ირლანდიის საქმეში, ესე იქცევა გერმანია ელზას-ლოტარენის გამო, ესე იქცევა ყოველი სხვა, რომელსაც ყოველი სამართლიანი თხოვნა ერისა თვისის აბრუს შებღალვად მიაჩნია, სახელის გატეხად და ამიტომაც წესად დადებული აქვს,—ჯერ ჩემს ნებაზედ მოვარჯულებ მთხოვნელებსა და მერე, თუ საჭიროდ დავინახავ, დასათმობელს დავუთმობო. სწორედ ამ სიტყვებით ჰმართლულობს თავს დღეს სამინისტრო ინგლისისა, როცა პარლამენტში გაჰყავს თავისი ეგრედ-წოდებული „რეპრესიის კანონები“ ირლანდიის შესახებ.

ამ გვარი მიმართულება შინაურის პოლიტიკისა, მარტო ცარიელის სახელისათვის თავ-დადებული, დავარაყებულ ნაჭუჭსა ჰგავს ფუჭის კაკლისას: გასტეხ და შიგ გამოსარჩომი-კი არა არის-რა. ამ ურარაობას კიდევ გაუძლებდა ქვეყანა, რომ მისი დრო, მისი ქონება, მისი ძალ-ღონე ამ ფუჭის კაკლის მოსავლელად არ ილეოდეს. განა ცოტა მაგალითია, რომ ამ ცარიელს სახელს, რომელსაც არავითარი სახრავი არა აქვს თვითონ ერისათვის, შეუსვამს, შეუჭამია ყოველი ის, რაც უამისოდ თავის გზაზედ წავიდოდა და ერს ამ ცარიელს სახელზედ დახარჯულს დროს, ქონებას და ძალ-ღონეს თავის საკეთილდღეოდ მოახმარებინებდა და ამ მხრით არ დააზიანებდა, არ შეაფერხებდა მის წარმატებასა.

რაც საქმნელია, უნდა იქმნას,—ამას წინ ვერავინ აღუდგება. შესაძლოა საქმნელი შეჰფერხდეს, მაგრამ სამუდამოდ-კი ცხოვრების დავთრებიდამ მისი ამოშლა შეუძლებელია და ტყუილი დაკარგვაა დროსი და ძალ-ღონისა. ეს დაკარგვა ძვირად უღირს, ძვირად უჯდება ქვეყანასა და ამიტომაც რაც საქმნელია რომ მალე იქმნას, წმინდა მოგებაა ყველასათვის.

განა წმინდა მოგება არ იქმნებოდა გერმანიისათვის, რომ თავზედ მოხვეული არა ჰქონდეს ძალად დაჭერილი ელზას-ლოტარენი? რომ ყოველ წლივ ას-ას მილიონები ეხარჯება ჯარებზედ, განა ამისი მიზეზი ელზას-ლოტარენი არ არის, რომელსაც ზურგთ უკან უდგას გაძლიერებული საფრანგეთი? განა ის ყოფა, რომ ელზას-ლოტარენს გული საფრანგეთისაკენ მიუწევს და საფრანგეთს ელზას-ლოტარენისაკენ ნატვრის თვალი უჭირავს, ცოტას აბრკოლებს გერმანიას, ცოტას აბოркილებს? ყოველივე ის უსამართლობა, რასაც დღეს ევროპაში გერმანია სჩადის, ყოველივე ის სადღე-ხვალიოდ მოსალოდნელი განსაცდელი, რომელსაც დღეს შეუბოჭავს მთელი ევროპა და მთელს ძალ-ღონეს ერისას ზედ ალევინებს განსაცდელის შიშსა—განა სულ ელზას-ლოტარენის წყალობა არ არის? მთელი ევროპა შეჰფერხდა ამ განსაცდელის მოლოდინითა და მარტო იმაზედაა გადაგებული, რომ ქამთავითარებამ თვითეულს ცალკედ ანაზდეულად არ მოასწროს და არ გათელოს. ამ ელზას-ლოტარენის ძალად დაჭერამ ხომ გერმანია აზიანა და აზიანა და სხვებსაც-კი მარტო იმაზედ მიაჩერებინა თვალი, რომ უეცრად რამ არ გატყვრეს და მოუმზადებელი არ ჩამითრიოს განსაცდელის ტალღამაო.

ამბობენ, ამის წინად-მგრძნობი მოხუცი იმპერატორი ვილჰელმი ძალიან ეურჩებოდა თურმე ბისმარკს და დიდხანს უძალიანდებოდა, რომ ელზას-ლოტარენი არ ჩამოერთმია საფრანგეთისათვის და გერმანიას არ დაეჭირა. თ. ბისმარკი არ დაჰყვა თურმე და დრო გამოაჩენს, ვინ უფრო შორს გამჭვრეტავი იყო ამ საქმეში, იმპერატორი ვილჰელმი თუ თ. ბისმარკი. თ. ბისმარკი ჭკვიანი კაცია და არ შეიძლება დღეს არა ჰხედავდეს რა ხათაბალა ყოფილა სახელმწიფოსათვის იმისთანა ქვეყნის დაჭერა, რომლის გულიც დღეს აქამომდე ვერ მოუნადირებია. იქნება სიხარულითაც ხელი აედო დღეს ელზას-ლოტარენზედ, რომ ეს დათმობა სათაკილოდ არ მიაჩნდეს გამარჯვებულის გერმანიის სახელისა და აბრუსათვის, თუმცა არც ერთი და არც მეორე იმოდენად გამოსახრავი არ არის, რამოდენადაც მაცდუნებელია თუ ყოველთვის არა, ამ შემთხვევაში მაინც.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 18 ივნისს, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში დანიშნული იყო ვაჭრობა იმ მამულების გასასყიდად, რომელთ პატრონებსაც არ შეეტანათ გადასახადი. სულ ამ გვარი მამულები იყო 170. მათ შორის ქალაქისა 68 და სოფლისა 102. ვაჭრობის დღემდე ბევრმა დაგირავებულ მამულის პატრონმა შეიტანა გარდასახადი. ვაჭრობის დღეს დარჩა გასასყიდად მხოლოდ 24 მამული. ამათში 9 ქალაქისა იყო და 15 სოფლისა. გაიყიდა იმ დღეს 8 მამული, 3 ქალაქისა და 5 სოფლისა. დანარჩენ მამულების გასყიდვა გადაიდო 3 ივლისისათვის. 3 ივლისს გასასყიდია 6 მამული ქალაქისა და 10 სოფლისა, სულ 16 მამული.

*** გურიიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში გარდაიცვალა სოფელს ნიგოითში 105 წლის მოხუცი კაცი, გიორგი ჭიჭილეიშვილიო. განსვენებული კარგა შეძლებული გლეხ-კაცი იყო, სავსე შვილებითა და შვილის-შვილებითა, რომელნიც ერთს ოჯახში სცხოვრებდნენ. მიცვალებულს ჭკვიანის კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ხშირად ესწრობოდა სასოფლო ყრილობაზედ და მონაწილეობას იღებდა ხალხის ლაპარაკსა და მსჯელობაში. არც ყური და არც თვალი ამ კაცს არ აკლდა და დიდის ხალისით მუშაობდა უკანასკნელ დრომდე.

*** იქიდამვე გვწერენ: 5 ივნისს ძლიერ გვედირსა წვიმა. უწვიმობის გამო ისეთი გვალვა იყო, რომ არ ვიცოდით, რა გვექნა. წელს ნათესი ნაკლებადა გვაქვს. ღომის დათესვა შეიძლება ეხლაც, ვისაც-კი მიწა აქვს დამზადებული. ვენახებს კარგად გვისხია.

*** ტფილისის მაზრის სამმართველომ, რომელსაც აბარია სამხედრო ბეგარის საქმის განხილვა და ჯარში მოწოდებულთა სიების შემოწმება, უკვე დაიწყო მუშაობა 9 ივნისიდამ. ამ სამმართველოს ბინა აქვს ტფილისის სამაზრო გამგეობის სადგომში. ვისაც რაიმე საქმე აქვს ამ სამმართველოსთან, შეუძლიან მიჰმართოს ყოველ-დღე, დილის 11 საათიდამ 2 საათამდე.

*** აი სადა და სად უნდა მოიყარონ თავი ჯარში მოწოდებულთა:

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

კიდევ ამერიკელ ედისზე.—მაშ ტყუილი არა ყოფილა ამერიკელ გაზეთების ამბავი!—მეცნიერ სიმენსის აზრი.—ესეც ახალი გამარჯვება მეცნიერებისა!—რაღა ამერიკელი ედისონი და რაღა სხვა ამერიკელები!—გაპარული ქალაქი.—მოხერხებაც ამასა ჰქვიან!—ამერიკელების ეხედულობა პოლიტიკაზე.—რად ჰსურთ ამერიკელებს ომი?—ჰაერში ომარი ჯარი.—ჰაერში მოსიარულე პანიელი.—ჰაერში თავის მოკვლა—სიყვარული ალგვამაღლებსო.

ხომ გახსოვთ, მკითხველო, ამერიკელი ედისონი? ხომ არ დაგვიწყებიათ ამ გამოჩენილ კაცის სახელი? ის ედისონია, რომლის სახელი მთელს ქვეყანას მოეფინა, ის ედისონი, რომელიც სასწაულ-მოქმედობს ელექტრონის შემწეობით. გეხსომებათ, რომ ედისონი დღეს ახალ საქმეს შესდგომია,—ედისონი ქვეყანას ამუნებს, რომ ადამიანისათვის საჭირ საზრდო, საჭმელ-სასმელი,—პური, ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა,—შემიძლიან პირ-და-პირ ელექტრონის შემწეობით მოვამზადო წყლისა, მიწისა და ჰაერისაგანაო. ხვნა-თესვა, საკლავის მოშენება საჭირო აღარ იქმნებაო.

როგორ და რა სახით აპირებს ედისონი ამის მოხერხებას? ამაზედ ვრცლად გვქონდა ლაპარაკი ერთს ჩვენს წინა ფელეტონში და ამიტომ საჭიროდ აღარ ვრაცხთ, ხელ-მეორედ კიდევ სიტყვა ჩამოვაგდოთ. დღეს თუ კიდევ გავიხსენეთ ეს ამბავი და საუბარი დავიწყეთ ამაზედ, აზრად სულ სხვა გვქონდა. საქმე აი რაშია.

როდესაც პირველად ამერიკის გაზეთებმა ეს ამბავი აუწყეს ქვეყანას, ყველა გაოცდა და არავის სჯეროდა, რომ ეს მართალი იყოს და არა ტყუილების გუდიდამ ამოღებული. რა დაგიმალოთ, ჩვენც ორ წყალ-შუა ვიყავით, გაბედვით ვერც იმას მივუდექით, ვისაც სწამდა, ვერც იმას, ვისაც სიცილადაც არ ეყო ეს ამბავი. ვტოკავდით, გარდაწყვეტილად ვერც ჰოს ვამბობდით, ვერც არასა თუმცა ის კი გვჯეროდა და გაბედვითაც ვამბობდით, რომ მერმისში ეს საქმე შესაძლებელიაო. ჩვენი რწმუნება ტყუილი არ გამოდგა. დღეს ამერიკელს ედისონს ემოწმება გამოჩენილი ევროპიელი მეცნიერი, ქიმიკოსი სიმენსი.

**

ამ ხანებში გერმანიაში გამოსულა სიმენსის წიგნი. სიმენსი ამტკიცებს, რომ ის აზრი, რომელიც ედისონმა გამოსთქვა, სრულიად უსაფუძვლო და სამზღვარს გადასულ ოცნების ნაყოფი არ არისო. ეს აზრი, დღეს თუ არა, ხვალ ხორცს შეისხამს და ამ სახით წარსდგება კაცობრიობის წინაშე. რომ ყოველ გვარ სასმელ-საჭმელის მომზადება წყლისა, მიწისა და ჰაერისაგან შესაძლებელია, ამას არ გაიკვირვებს ის, ვისაც მეცნიერებისა გაეგება რამე. მართლა და რა არის ყოველ გვარი სასმელ-საჭმელი, რისაგან ამზადებს ამას თვით ბუნება? იმავე წყლისა, მიწისა და ჰაერისაგან მცენარეობის და ცხოველების ძალით გარდაქმნილთა. როგორ და რა გზით ხმარობს ამ ორ დიდ ძალას ბუნება? ეს დიდს ხანს საიდუმლოდ, ძნელ გამოცანად ითვლებოდა: კაცობრიობამ ბევრი იმტვრია თავი, რომ მიმხვდარიყო, მაგრამ დღემდინ ვერას გამხდარიყო. ეს გარემოება უშლიდა კაცს ხელსა. დღეს მეცნიერება, ცოტა არ იყოს, მიუხვდა ბუნებას და კვალში ჩაუდგა. მეცნიერება მიჰხვდა, რომ მცენარეთა და ცხოველთა მაგიერობა ხელ-ქმნილთა მანქანებს შეუძლიანთ გასწიონ. ამ მანქანების შემწეობით შეიძლება წყალი, მიწა და ჰაერი პურად თუ ხორცად გარდაიქცეს. ასეთი დანიშნულება აქვს სწორედ იმ მანქანას, რომელიც ედისონს მოუგონია და სახელად „ნუტრიკატორი“, ანუ სასმელ-საჭმლის მოსამზადებელი მანქანა უწოდებია. ეს არის პირველი სათავე იმისი, საიდამაც კაცობრიობამ უნდა წარმოადინოს ახალი და საკვირველი წყარო ცხოვრებისა

აჰა, ესეც ახალი გამარჯვება მეცნიერებისა. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი თავს გაიქნევს და იტყვის: ეჰ, არა მჯერა, რომ ეს მართალი და შესაძლო იყოსო! ამისთანა „ურწმუნო თომას“ რით დააჯერებ? უნდა თვალით აჩვენო, უნდა უთხრა: „მოდი და ნახე“. მაგრამ ჩვენ არ ძალ-გვიძს ამის ქმნა. მაშ ეს მაინც მოისმინეთ:—რას გეტყოდათ ძველის დროის ფილოსოფოსი, რომ გეთქვათ: შესაძლებელია, კაცმა კაცს ათასის და ათი-ათასის ვერსტის სიშორეზე ხმა მისცეს და ამბავი შეატყობინოს რამდენსამე საათის განმავლობაშიო? ფილოსოფოსი, რასაკვირველია, გაიოცებდა ასეთს უცნაურს ამბავსა და გაოცების ნიშნად ისიც თავს გაიქნევდა, როგორც დღეს ჩვენ. დღეს რომ ამ ფილოსოფოსმა საფლავიდგან ამოიხედოს, მაშინ რაღას იტყოდა? დღეს ხომ ეს ამბავი ჭორი აღარ არის? დღეს ხომ ყველა საკუთარის თვალით ვხედავთ, რომ დეპეშა ამერიკიდამ, რომელიც ჩვენგან ათი-ათასს ვერსტზეა

ტფილისის მაზრის მცხოვრებთ: ტფილისში, სართიჭალაში და ელისაბეტტალსა; გორის მაზრის მცხოვრებთ: გორს, ხაშურს, ცხინვალსა და ჯავაში; თელავის მაზრის მცხოვრებთა: თელავსა. სიღნაღის მცხოვრებთ: სიღნაღსა. ახალციხისკენ — ახალციხეს. თიონეთისკენ—თიანეთსა. ახალქალაქისაკენ—ახალქალაქს; დუშეთისაკენ —დუშეთს, ახალგორს და ქვემომლეთსა. ბორჩალოსაკენ—დიდ-შულავერში, ჯელალ-ოღლაში და ბაშკიჩეტს. საინგილოსკენ—ზაქათალაში.

*** ქუთაისის გუბერნიისათვის ამ გვარ თავ-მოსაყრელ ალაგებად დანიშნულია: ქუთაისის მაზრაში—ქუთაისი, სოფ. საყულია, დაბა ხონი, სოფ. სამტრედია და ბაღდადი. შორაპნის მაზრაში: დაბა ყვირილა, სოფ. საზანო, დაბა საჩხერე, სოფ. მერევი და ბელაგორის რკინის გზის სადგური. რაჭაში—დაბა ონი და სოფ. ამბროლაური. ლეჩხუმში—სოფ. ცაგერი, აჭარა და მესტია. სამეგრელოში (სენაკის მაზრა)—ახალ-სენაკი, სოფ. ნოქალაქევი და ნაოღალევი. სამეგრელოშივე (ზუგდიდის მაზრა)—ზუგდიდი, ხეთი და სოფ. ცალენჯიხი. გურიაში—ოზურგეთი, სოფ. ჩოხატაური და ლანჩხუტი. სოხუმისა და ფოთისაკენ: ფოთი და ოქუმი.

*** გაზეთი «Новости» ამბობს, რომ, როგორც გავიგონეთ, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ჰგზავნის ბ-ნს არხიპოვს კავკასიაში, ბესარაბიაში და დონისაკენ. არხიპოვმა ამ ქვეყნებში უნდა შეჰკრიბოს ცნობანი, რომელნიც საჭიროა იმის გადასაწყვეტად, გაიმართოს თუ არა სკოლები და სამაგალითო სარდაფები ღვინის კეთებისათვის. არხიპოვმავე უნდა შეჰკრიბოს ცნობანი ნავთის შესახებ აფშერონის ნახევარ-კუნძულზედ.

*** იგივე გაზეთი სწერს: ამ დღეებში გაიმართება იაროსლავის ქალაქში მე-VII საარხეოლოგიო კრება. ამ კრებაზე მოიტანენ ფრიად ძვირფასს ძველ ნაშთებს, რომელნიც არიან დაცულნი საქართველოს სხვა-და-სხვა მონასტრებშიო. ამ ნაშთებ შორის განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ესრედ-წოდებული გელათის სახარება, რომელსაც მშვენიერი ნახატები და მინიატურები აქვს ჩართული. ამ გვარი ნახატები და მინიატურები არ მოიპოვება არც ერთს მუზეუმსა და წიგნთ-საცავში და არც სად სხვაგან მთელ დედამიწის ზურგზეო. კრებაზე დაესწრებიან ბევრნი სწავლულნი დასავლეთ-ევროპისანი და იმათთვის დიდად საინტერესო იქნება ამ გვარის იშვიათის ნივთების ნახვაო.

*** ვიღაც ელექტრო-ტეხნიკს ბ-ნს კამენსკის მოუგონია ერთ-გვარი მოწყობილობა, რომლის შემწეობითაც სწრაფად შეიძლება ჰხოცონ საქონელი ყასბებმაო.

*** ვიღაც უცხოელს მოუგონია ერთ-გვარი ღონის-ძიება, რომლის შემწეობითაც შეიძლება ისეთი თვისება მიეცეს მაუდს, რომ წვიმაში არ დასველდესო.

*** ბათუმს ახლო მატარებელს გაუჭყლეტია ამ დღეებში 80 წლის მოხუცი ბათუმის ოლქის მცხოვრებელი სულეიმან-ჩოვდარ-ოღლი. 17 ივნისს გაუჭყლეტია კიდევ მატარებელს ქარელსა და გორს შუა ერთი სპარსელი მუშა-კაცი.

** ალდაშიდამ სწერენ გაზ. «კავკაზს», რომ ამას წინად თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ ჩვენსკენ სეტყვას გაეფუჭებინოს მოსავალი, ტყუილიაო. წელს აქეთ ძალიან კარგი მოსავალია და თუ ვაჭრებმა არ გაზიდეს, სამს წელიწადს გამოჰკვებავს აქაურებსაო.

*** გაზ. „Нов. Обоз.“ სწერს, რომ ბათუმში ხის მასალა ოდესიდამ მოდის, მაშინ როდესაც თვით კავკასიაში ბევრია ისეთი ტყეები, საცა მრავლად იპოვება შენობისათვის საჭირო მასალა. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ კავკასიაში არ არის ისეთი ქარხნები, სადაც შეიძლებოდეს ხე-ტყე დაიხერხოს და საშენებელი მასალა მომზადდესო.

*** გაზეთს „Новое Время“-ს სწერენ, რომ ტფილისში ბუხარიდგან შემოუტანიათ სავაჭროდ ერთ-გვარი ვარდის ფერი მარილი, რომელიც არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივის მარილისაგან. ამ ახალის მარილის ნიმუშები გასასინჯავად გარდაუციათ კავკასიის საექიმო საზოგადოებისათვის.

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ბაქოში ამ უკანასკნელს ხანებში დაუქირავებიათ რამდენიმე გემი იმ გემთა სხვა-და-სხვა ნაწილების გადასატანად კასპიის ზღვით უზუნ-ადამდე, რომელთაც მდ. ამუ-დარიაზე აშენებენ.

*** „Медицинское Обозрѣніе“ გვაუწყებს, რომ წარსულს სეზონში 1886 წელს კავკასიის სამადნო წყლებზე სულ იყო 5,912 კაცი (1885 წელს 5,842 კაცი). წარსულს სეზონში მმართებლობის კომისარის ანგარიშით სულ შემოსულა 133,483 მან., 1885 წელს-კი შემოსულა 125,193 მან.

*** გაზეთს „Новости“-ს ატყობინებენ, რომ მოროზოვის სამანუფაქტურო ფირმას განზრახვა აქვს სცადოს ამერიკულის ბამბის მოყვანა კავკასიაში; მას უკვე გაუგზავნია რამდენიმე მცოდნე კაცი ამერიკაში ბამბის მოყვანის საქმის შესასწავლად; ამ მცოდნე კაცებს შეუსწავლიათ ბამბის მოყვანის საქმე არკანზასში, რომელიც ჰავით და სხვა მხრითაც ძალიან ჰგავს კავკასიასა, და ის აზრი შეუდგენიათ, რომ კავკასიაშიაც ძალიან იხეირებს ამერიკული ბამბაო.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს „ახალ ამბავში“ მეოთხე სვეტზე, გლადი-კავკავიდამ მოწერილ ამბავში, შეცდომით არის მოყვანილი უადგილო-ადგილას ეს სტრიქონი: „რამდენადაც ეს ამბავი უსიამოვნოა, იმდენად სასიხარულო უნდა იყოს, რომ“...

## ფოთი-ტფილისის რკინის გზა

მკითხველთ კარგად იციან, რომ წელს ბევრი უბედურება მოხდა ჩვენს რკინის გზაზედ, განსაკუთრებით მესამე დისტანციაზედ, ხარაგაულსა და ქარელს შუა. ჯერ ხომ იყო და მიწის ზვავი ჩამოწვა ფონასა და წიფას შუა, დაეჯახა მიმავალს მატარებელს და სამი დატვირთული ვაგონი დედა-მიწასთან გაასწორა, უდიდესთაგანი ლოკომოტივი დააზიანა, თანაც ერთი მეტად წვრილ-შვილი კონდუქტორი იმსხვერპლა და მეორეს კიდევ მოამტვრია ფეხები.

მერე, რამდენისამე დღის შემდეგ, ამავე ფონასა და წიფას შუა ღამით კიდევ ჩამოწვა ქვისა და მიწის ზვავი, დაეცა რკინის გზის საყარაულო ქვითკირის შენობას და დედა-მიწასთან გაასწორა. შიგ მოჰყვა რამდენიმე გზის მუშა და ყარაული, რომელთაც უცბად განუტევეს სული. დღესაც ნამდვილად არ არის მოყვანილი ცნობაში, რა ერთი სული გახდა მსხვერპლი ამ უბედურებისა. ამ ზვავის გადათხრის დროს პირველ დღეს ამოიღეს ოთხი მკვდარი, მეორე დღეს კიდევ ოთხი, მესამეს—ორი და მეოთხეს კიდევ—ორი, ასე რომ სულ თორმეტი სული მკვდარი აღმოჩნდა ამ უბედურების გამო.

დიდი ხანი არ გამოსულა ამის შემდეგ, რომ შეიკრა რამდენჯერმე სურამის უღელტეხილი, შესწყდა გზაზე სიარული, მოემწყვდნენ მგზავრნი ხაშურსა და ყვირილაში რამდენისამე დღეთ; ზოგიერთნი მგზავრნი მეტად შევიწროვდნენ, რადგან არა ჰქონდათ სახარჯო ფული, რომ გამოეკვებნათ თავი. ვისაც ნაცნობი ჰყვანდა, სესხულობდა და იოლას მიდიოდა, ვისაც არა და, თუ ებადა რამე ნივთი, აგირავებდა. ზოგნიც, მოთმინებისაგან გამოსულნი, ფეხით შეუდგნენ სურამის უღელტეხილას გადავლასა. გაცმა მართალი უნდა სთქვას: რკინის გზა აძლევდა მომწყვდეულ მგზავრთ, ვისაც-კი ბილეთი ჰქონდა, 25 კაპ., რომელიც ნაიზედაც არა ჰყოფნიდათ დღეში. საკვირველი-კია, რომ ახალციხელნი მგზავრნი მოკლებულნი იყვნენ ამ გვარს „წყალობასა“.

თითქო ყველა ეს უბედურება საკმარისი არა ყოფილიყოს, ახლა კიდევ ქარელის ხიდმა დაიწია, რადგან ორსავე მხრით ბურჯები გამოაცალა წყალმა. უმადლოს ღმერთმა ერთს უბრალო მუშასა, რომელმაც პირველად შეიტყო ხიდის დაზიანება და აცნობა გზის ოსტატს, თორემ შეუძლებელი იყო, რომ მთელი მატარებელი და შიგ-მჯდომი ხალხი უბედურების მსხვერპლი არ გამხდარიყო.

იმ დროს, როდესაც თვით ბ-ნი მესამე დისტანციის უფროსი მეტი ოცზე მეტის ვაგონით მოადგა ამ ხიდსა და მატარებელი უნდა გაეტარებინა ზედა, აი ამ დროს აიქნიეს წითელი ბაირაღი და გააჩერებინეს მატარებელი, ასე რომ მხოლოდ შემთხვევამ დაიხსნა ეს ამოდენა ხალხი და ვაგონები აუცილებელისა და საშინელის უბედურებისაგან.

ქარელის ხიდის გაფუჭებამ და გზების შეკვრამ საკმაო ზარალი მოუტანა როგორც საქართველოს რკინის გზას, ისე ვაჭარ ხალხსა. განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი ხომ ზომას გარედ დაიჩაგრნენ: მოტანილი ჩირნახული ქარელის სადგურზედ მთლად დალპა, რადგანაც იქ არ არის საწყობი და ამის გამო საქონელი ეყარა ცის ქვეშა. გზის შეკვრის გამო ვაჭრებმა, რომელთაც დროზე უნდა ჩაებარებინათ შეკვეთილი საქონელი კონტრაქტების ძალით, ვადას გადააცილეს თითქმის თვრამეტი დღე. რასაკვირველია, ამ მიზეზით ასტყდა დავიდარაბა და საჩივრები: სთხოვდნენ ხსენებულს ვაჭრებს ჯარიმას და ზოგს კიდევაც ახდევინებდნენ. ბათუმიდამა და ფოთიდამ გემები, საქონლის მისაღებად მოსულნი, ცარიელი ბრუნდებოდნენ უკანა. წვრილ ვაჭრებისაგან ნაყიდი ხორაგეულობა ვაგონებში ჩალპა. კიდევ ღმერთმა უშველოს რკინის გზის მოძრაობისას ბ-ნ გრევეს, რომელმაც იხმარა ყოველივე ღონის-ძიება და, შეძლებისა და გვარად, ხელ-და-ხელ გამოაზიდვინა მუშებს რამდენისამე ვაჭრის საქონელი და ამით ზოგიერთი წვრილი ვაჭართაგანი დააკმაყოფილა.

რა ზარალი არ მოუტანა ამ რკინის გზამა ვაჭარს ხალხსა, ვინ მოსთვლის? თუმცა თითონ რკინის გზამაც ნაკლებად არ იზარალა.

ამ უბედურებათა გამო უმაღლესმა მთავრობამ დანიშნა კომისია გზის გასასინჯავად. რაკი შეიტყეს კომისია მოდისო, შეუდგათ რკინის გზის მოსამსახურეთ ერთი ალიაქოთი დამზადება. მესამე დისტანციის გამგეს დაუნიშნეს თანაშემწედ მეორე უფროსი გზის ოსტატი, „ობერ დაროჟნი მასტერი“. შეუდგნენ გზის გაწმენდას და გამშვენებას, შენობების შეკეთებას ხაშურში, სადაც კარგა ხანაა შენობები არ შეეკეთებინათ. ვნახოთ, რას აღმოაჩენს რევიზია.

სურამელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენი მკითხველები წაიკითხავდნენ ამბავსა, რომელიც ამ დღეებში დეპეშამ გვაუწყა: საერო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ მომავალ სამოსწავლო წლისათვის გიმნაზიებში მოსამზადებელი კლასები უნდა დაიხურონო. გაზეთებში საბუთიც

---

მოშორებული, უფრო ადრე მოგვიტანს ხოლმე ამბავს, ვიდრე თქვენ ერთის სოფლიდამ მეორე ახლო სოფელში შეატყობინებთ რასმე.

**

ამერიკელი ედისონი ხომ სალაპარაკოდ გაუხდა მთელს ქვეყანას და გაუხდა, მაგრამ არც სხვა ამერიკელები არიან ჩამორჩომილნი. მართლაც და ისე დღე არ გავა, რომ გაზეთებში რაიმე უცნაური ამბავი არ წაიკითხო ამერიკელებზე. სხედან, ბატონო, იქ სადღაც, ცხრა ზღვას, თუ ცხრა მთას იქით გადაკარგულ ქვეყანაში, სხედან თავიანთვის ჩუმად, წყნარად და აი ანაზდეულად ისეთს უცნაურს საქმეს ჩაიდენენ, რომ სხვას აზრადაც არ მოუვიდოდა. აი თუ არა გჯერათ.

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ გარემოებამ მოიტანა, გაჭირება კარს მოგადგათ და იძულებული შეიქენით ვალი აგეღოთ. აიღეთ კიდეც და, ვსთქვათ, სახლი გირაოდ მიეცით. გაიარა დრომ, სარგებელმა იბარტყა, ვალი გადიდდა და ველარ გადაგიწყვეტიათ. მოვალე გაწუხებთ. რას იზამდით? დარწმუნებული ვარ, ან ცხვარივით დაუწყნარდებოდით და დაგიწყებდნენ კრეჭა-პარსვასა, ან და ლომივით განრისხდებოდით, გააფთრდებოდით, აჰტოტდებოდით,—და ამას იკმარებდით. თუ ცხვრის სიწყნარე არ არის კარგი, არც ლომივით გაათრება სასურველი და საქებური...

ტყუილია ამერიკელებისთანა! ამათთან ყველას მოუცდება! ერთს ამერიკის ქალაქს სწორედ ასეთი საქმე დაჰმართვია, როგორც ზემოდ მაგალითად გიამბეთ, და მერე იცით როგორ მოქცეულან? აი გიამბობთ.

**

ერთს ამერიკის ქალაქს, სახელად ბაქსტერ-სტრინგს, დიდი ვალი დასდებია. ვალი მთელის ქალაქისა ყოფილა, და მოქალაქეთ უნდა როგორმე ეშველათ თავიანთ თავისათვის, თორემ საჯაროდ გაიყიდებოდა და მთელს ქალაქს ერთი-ორი კაცი დაეპატრონებოდა და ბატონობას დაიწყებდნენ. შენი მტერი ჩვენ საქმე მოგვივა, თუ ეს მოხდაო,—იფიქრეს ბაქსტერ-სპრინგელებმა. იფიქრეს, ილაპარაკეს და მერე იცით, რა ილონეს, რა მოახერხეს? სანაძლეოსა ვსდებ, რომ ვერავინ მიჰხვდება...

ერთს დღეს მთელ ქალაქში ასტყდა რაღაც ჩახი-ჩუხი: ბარგს გარედ ეზიდებოდნენ, სახლებს ანგრევდნენ; ხალხი ისე ირეოდა, თითქოს მტერი შემოჰსევია და ქალაქ აოხრებსო. აი რაც რამ ებადათ, ბოხჩებში გამოჰკრეს, დანგრეულის სახლების ქვა და მიწაც არ დასტოვეს, დაუდეს ყველა ეს ურმებზე და გასწიეს ქალაქიდამ... მოვიდნენ მოვალეები ბაქსტერ-სტრინგის აღსაწერად და ვალში გასასყიდად,—მაგრამ ვაი შენს მტერს,—პირში ჩალა ამოვლებულები-კი დარჩნენ. რა დაგიგდია, რას ეძებ. ქალაქი გამქრალა, განიავებულა. მარტო ნანგრევებზე-ღა თუ იბღერიალებდნენ. დიდ ხანს იდგნენ მოვალეები გულდამწვარნი და დაჰყურებდნენ მოკალოვებულს ქალაქსა და ფიქრობდნენ, რა ქნილა ქალაქი, რა მოჰსვლიაო... მიიხედ-მოიხედეს,—დიდება შენთვის ღმერთო!—ეს რა ქალაქი მოჩანს აქვე ახლოს? წინად აქ ქალაქი არა ყოფილა?! მივიდნენ,—ოჰ, სასწაულთ-მოქმედებავ!—ეს ხომ ბექსტერ-სტრინგია, დიახ, ჩვენი ცოდვით-სავსე, ჩვენი მოვალე ბექსტერ-სტრინგი!.. რა ამბავია, მთელი ქალაქი გაპარულა, დაჰმალვია მოვალეს? დიახ, ბატონებო!

ბექსტერ-სტრინგელებს თურმე გადაუწყვეტიათ, ვალს ნუ გადავიხდითო,—არ შესძლებიათ, თუ არ სდომებიათ, ეს ღმერთმა უწყის,—და აი აულიათ და მთელი ქალაქი სხვა ადგილას გადუტანიათ. ბექსტერ-სტრინგელებს, ეტყობა, ასე უფიქრიათ: ვალი ძველს ქალაქზე იყო და ახალზე ხომ ველარ წამოგვედავებიანო. ის სახლები, რომელიც ვალში გირაოდ იყო, გაჰქრა, წადი და ედავე...

აი მოხერხებაც ამასა ჰქვიან! წავიდნენ ეხლა „ადვოკატები“ და თავები იტეხონ: ეშველება კიდევ რამე ამ საქმეს, თუ არა.

**

რაღა ეს ამბავი და რაღა სხვა! ამერიკელები ყველაფერში უთუოდ ასეთს უცნაურს თავისებურს რასმე ჩაიდენენ, ან იტყვიან, აი, მაგალითად, პოლიტიკა, რომელზედაც მთელი ევროპა ლაპარაკობს. გნებავთ, შეიტყოთ, ამერიკა რას ფიქრობს ამ პოლიტიკაზე? ამერიკელებს უნდათ და გულითაც უნდათ, რომ ევროპაში უთუოდ ომი მოხდეს. მერე იცით რათა? არ გეგონოთ-კი, ვითომ იმიტომ, რომ ამერიკელებს ან ახალის ქვეყნის შეძენა უნდოდეთ, ან ვისიმე მტრობა ჰქონდეთ და ჰსურდეთ ამის ცხვირ-პირის ჩამტვრევა,—არა, ამერიკელები ძალიან მშვიდობის მოყვარე ხალხია და თუ ხმა არავინ გასცა, ტყუილ-უბრალოზე კინკლაობას არავის დაუწყებს. ევროპაში ომი კი მაინც ძრიელა ჰსურთ და ჰსურთ ჯერ ერთი იმიტომ, რომ დედა-მიწაზე სიარული მოჰბეზრდათ და ჰაერში ფრენა მოუწადინიათ და მეორე, ამერიკელებს, როგორც ანგარიშის ხალხს, ისიც მოუფიქრნია, რომ ჰაერში სიარული უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე წყლით ან ხმელეთითაო. ჰაერში მოგზაურობა-კი ხომ, როგორც მოგეხსენებათ, უჰაეროსტატოდ არ შეიძლება, და ჰაეროსტატის გაკე-

იყო ნაჩვენები, რომელმაც ვითომ ეს განკარგულება გამოიწვია.

საქმე იმაშიაო,—ამბობენ გაზეთები, რომ მოსამზადებელ კლასებში ბევრი ყმაწვილები იკრიბება. მერე, წლის დამლევს, ბევრი ამათგან პირველ კლასში გადადის და დანარჩენთ, შინ მომზადებულთათვის, რომელთაც პირველ კლასში შესვლა უნდათ, ადგილი აქ აღარა რჩებათო.

გაზეთ „Новое Время"-ს კიდევ სხვა საბუთი მოჰყავს, რომელმაც ვითომ სამინისტროს განკარგულება დაჰბადა. აი ეს საბუთი:

სამინისტროს განზრახვა აქვს რეალური სასწავლებლები „პროფესიონალურ სკოლებად" გადააკეთოს და რადგან აქამდინ ამ სასწავლებლებს მოსამზადებელი კლასები არა ჰქონდათ, დღეის იქით, გიმნაზიების მაგიერ, აქა ჰსურთ ამ კლასების გამართვაო.

ძალიან კარგი, მაგრამ, ჩვენის აზრით, უფრო უკეთესი იქმნებოდა, აქაც გაემართათ და გიმნაზიებშიაც ყოფილიყო. თუ ერთს ადგილას კარგია, არც მეორე ადგილას იქნებოდა უვარგისი: მაშინ არც მწვადი დაიწვებოდა, არც შამფური.

**

გაზეთ „С.-Петербургскія Вѣдомости"-ში მოყვანილია ერთი ადგილი ბ-ნ სტოილოვის წერილიდამ, რომელიც ბოლგარიის წარმომადგენელს ვენაში მოუწერია თავის მეგობრისათვის სოფიაში.

ჩრდილოეთის ქარმა დაჰბერაო,—ასე იწყებს სტოილოვი წერილსა: კალნოკი გვირჩევს, ცოტა ფრთხილად ვილაპარაკოთ. ურჩიე ზაქარა სტოიანოვს, გაზეთ „Свобода"-ში ცოტა ხმა დაუშოს და ბანი დაუდაბლოს, მაგარ-მაგარს ნულარ დასწერს ჯერ-ჯერობით.

რა ამბავია? რომ დაატრიალა ეს საქმე ასე უცბად? გაზეთი გვარწმუნებს, რომ ესეც ბისმარკის საქმეაო.

რაკი ბისმარკმა დასავლეთისკენ საქმე მოაწყო და გული დაიმშვიდა, რომ აქედგან საშიშარს აღარას მოველიო, პირი მაშინვე აღმოსავლეთისაკენ იბრუნა. ბისმარკმა იფიქრა: აღმოსავლეთისკენ როგორღაც მემდურებიან, უნდა ვეცადო, რომ გული მოვუგო და ისევ ჩემკენ მოვახედოვო. თუ ავსტრია ცოტად იწყენს ამ ამბავსა, არა უშავს-რა: კალნოკი კარგადა მყავს გაწვრთნილი და ნასწავლი; კალნოკიმ კარგად იცის ჩემი განზრახვა და ისიც ეყურება, რომ თუ რაიმე თამაშობაში გავები, ავსტრია მაინც წაგებაში არ იქნება: ავსტრიისა და გერმანიის შორის თამაში ცოლ-ქმართ შორის თამაშობასაჰგავს,—ცოლი ქმარს და ქმარი ცოლს წაგებას ანგარიშში არ ჩაუთვლისო.

იქნება გაზეთი არც-კი სტყუოდეს! ..

**

გაზეთ „Русскій Курьеръ"-ის ოდესელი კორრესპონდენტი ერთს საყურადღებო ამბავს იწერება, რომელიც ცოტა არ იყოს, ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ არაფერს საქებურს ზნე-ჩვეულებას, სწავლა-მოძღვრებას ჰნერგვენ ოდესელები თავიანთ შვილების ნორჩს გულში. აი რას გვიამბობს კორრესპონდენტი:

ცხენის რკინის გზით მივდიოდი ერთს დიდს ქუჩაზე. ვაგონში შემოვიდა ორი პაწაწინა ყმაწვილი, უთუოდ დაბალის კლასის გიმნაზიელები. ამ პაწაწა ყმაწვილებმა ჩემი ყურადღება მიიქციეს. დაიწყეს თუ არა ლაპარაკი, მე მაშინვე სმენად გადავიქეც, რადგან ისეთს სიტყვებს მოვკარ ყური, რომელსაც სრულიად არ მოველოდი ჯერ თითქმის უსუსურს ბავშვებისაგან. როგორ გგონიათ, რაზედ ჰქონდათ საუბარი? ვითომ იმაზე, რომ ასე გსწავლობ, მასწავლებელმა ჩვენ ეს გვითხრა, ამა-და-ამ შეგირდმა ეს-და-ეს ჩაიდინა, დედა ამას-და-ამას დამპირდაო,—არა, ერთი მეორეს დაღლაგებით უამბობდა, რომ მამაჩემმა ამ დღეებში დიდ-ძალი პური გაჰყიდა კარგ ფასად და კარგი ფულიც აჰკრაო.

მამამ ამისთანა შვილი უნდა დაიკვეხოს,—კაცი გამოვა, ფულს შეიძენს... მაგრამ აქ ბავშვისა რა ბრალია: ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს...

## რუსეთი

—წელს, 24-ს აპრილს, გამოცემულ იქმნა ახალი კანონი, რომლის ძალითაც შეიცვალა მე-69 მუხლი სისხლის სამართლის წესებისა. დღემდის ყველას ვალად ედო გამოცხადებულიყო მომრიგებელ სასამართლოში სასამართლოს უწყების თანახმად. თუ მოწამე არ გამოცხადდებოდა, ჯარიმად 25 მანათს იხდიდა. ეხლა-კი ახალს კანონს შემოაქვს ორი ცვლილება: 1) გამოცხადება სასამართლოში სავალდებულოა მხოლოდ იმ მოწმეთათვის, რომელნიც დროებით ანუ მუდმივ სცხოვრობენ იმ სასამართლოს განყოფილებაში, სადაც ისინი მოწმად არიან მიწვეულნი, ან და იმ შემთხვევაში, როცა ისინი 15 ვერსტზე შორს არა სცხოვრობენ სასამართლოდგან; 2) კანონი უფლებას აძლევს მოსამართლეს, ძალით მოიყვანოს მოწმები, რომლებსაც არ უნდათ გამოცხადდნენ სასამართლოში.

—რეველის ქალაქის გაზეთები გვატყობინებენ, რომ ყველა იქაურ სტამბათა მეპატრონეებს მოსვლიათ განკარგულება, რომლის ძალითაც ყოველ გვარი განკარგულებანი ნემეცურს და ესტურს ენებზე დაბეჭდილნი, რუსულადაც უნდა დაიბეჭდონო. რუსული ტექსტი უნდა წინ მიუძღოდეს ნემეცურსა და ესტურსაო.

—გაზეთს „Kray"-ს სწერენ კოვნოდგან: „ახალმა კანონმა უცხოელთ შესახებ ძალიან აალაპარაკა და ააფალეურა კოვნოსა და მის ახლო-მახლო მცხოვრები ნემეცებიო. მდ. ნემანის მთელს ერთს ნაპირს, სუვალკის გუბერნიის მხრით, სრულიად ნემეცურის პროვინციის ხასიათი აქვს. თითქმის ყველა საუკეთესო და მოზრდილი მამულები პრუსიის ქვეშევრდომთა ხელშია; თუმცა ეს უცხოელნი დიდი ხანია რაც აქა სცხოვრებენ, მაგრამ აქამდე ადგილობრივი ენა არ უსწავლიათ; მათი შვილები-კი პრუსიის ჯარში მიდიან ხოლმე. მთავრობის განკარგულების შემდეგ ზოგიერთნი უცხოელთაგანნი აპირობენ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღონ და სხვები-კი მზად არიან ისევ სამშობლო ქვეყანაში გარდასახლდნენ. მხოლოდ იმასლა უცდიან, რომ უზარალოდ გაჰყიდონ თავიანთი მამულებიო.

## უცხოეთი

### საფრანგეთი და პაპი ლეონ XIII.

პაპი ლეონ XIII დღითი-დღე უფრო-დაუფრო დიდს გავლენას და ზედ-მოქმედებას ჰპოულობს ევროპის ეხლანდელს პოლიტიკაში. ეხლა ყველა ამ პაპზედ ლაპარაკობს ისევე, როგორც მეორე იმპერიის დროს ლაპარაკობდნენ მაშინდელს პაპზედ, თუმცა იმ ლაპარაკის მიზეზი სულ სხვა იყო. პაპი პიი IX მართლაც და ყოველის ღონის-ძიებით სცდილობდა, რომ საერო მთავრობის წინააღმდეგ ემოქმედნა და თავი შეეძულებინა ყველასათვის. ეხლანდელი რომის მღვდელთ-მთავარი, პირ-იქით, ყოველსავე ღონესა ჰღონობს, რომ როგორმე დაუახლოვდეს და დაუმეგობრდეს საერო მთავრობათა და მართლაც და, თითქმის რომ აისრულოს თავისი საწადელი. 1876 წლიდგან პაპი სრულიად იქმნა მოშორებული საპოლიტიკო საქმეებიდგან და ეხლა-კი კვლავ ჩაერია. პაპი უკვე მოურიგდა გერმანიას, იტალიის მთავრობასაც განუზრახავს დაუახლოვდეს და დაუმეგობრდეს პაპს და ამას გარდა პაპი ერთს შემთხვევას არა ჰკარგავს, რომ თავი მოაგონოს ევროპასა და აშკარად დაანახვოს ყველას, რომ მეც აქა ვარ და მეც შემიძლიან რამეო. ინგლისის დედოფალ ვიქტორიას იუბილეიაზე, მაგალითებრ, პრინცებთა შორის ყოფილა აგრეთვე წარმომადგენელი რომის მღვდელთ-მთავრისა. ამას გარდა პაპის თავის ნუნციას პირით საფრანგეთში მოკითხვა შეუთვლია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის, რომ საფრანგეთი უფროსი ასული ეკკლესიისაო. ამ ზრდილობიანს მოკითხვაზე, რასაკვირველია, ბ-ნ გრევიმაც ზრდილობიანი პასუხი უნდა შეუთვალოს და საფრანგეთის მხრივ დახმარებას დაჰპირდეს პაპსა. ხოლო როგორ მოეწყობა ერთმანერთთან პაპისა და ბ-ნ გრევის შორის ტკბილის და ზრდილობიანის სიტყვების ხარჯვა და ის გარემოება, რომ ახალის საფრანგეთის სამხედრო კანონ-პროექტის ძალით სხვებთან ერთად სამხედრო ბეგარა უნდა გადაიხადონ კათოლიკე სემინარიელებმაც,—ძნელი გასაგებია. პაპი უეჭველია მიანდობდა თავის ნუნციას საფრანგეთში, რომ როგორმე ხელი მოუმართე საფრანგეთის კათოლიკეთა წოდების წარმომადგენელთ, რომ სამხედრო ბეგრის გადახდის კანონი ცოტათი შემსუბუქებულ იქმნეს კათოლიკე სემინარიელთათვისაო. თუ საფრანგეთის მთავრობამ შეიწყნარა პაპის თხოვნა, მაშინ ყველა გაჰკიცხავს ამ მთავრობას, რომ სამღვდელოებას ჰმფარველობ და მხარს უჭერო. ამ მხრივ რუვიეს სამინისტრო ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაშია. ეს მთავრობა ვერ იცოცხლებს ისე, თუ მემარჯვენე კონსერვატორებმა მხარი არ დაუჭირეს და ეს კონსერვატორები-კი მხოლოდ იქამდე გაუწევენ სარჩლსა და ქომაგს ეხლანდელს სამინისტროს, ვიდრე პალატათა მიერ დამტკიცებული და გამოქვეყნებული არ არის სამხედრო კანონი, რომლის ძალითაც სემინარიელებმაც სხვებთან ერთად უნდა გადაიხადონ სამხედრო ბეგარა. პაპი ლეონ XIII-მ ალბად კარგად იცოდა ეს და ამიტომაც ზრდილობიანი მოკითხვა შეუთვალა ბ-ნ გრევის. კარგად იცოდა, რასაკვირველია, თუ რა გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს და როგორა სწყინდათ კლერიკალების მოწინააღმდეგეთ, როცა ვატიკანი ბერლინს დაუახლოვდა და როცა იმედი მიეცათ სულ ყველას, რომ შეიძლება იტალიის მთავრობაც შეურიგდეს და დაუმეგობრდეს ვატიკანსაო...

**ბოლგარია.** სოფიიდგან აუწყებენ გაზ. „Pesther Lloyd"-ს, რომ მართალია ის სამზღვარ-გარეთულ გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას განზრახვა აქვს მოიწვიოს დიდი საერო კრება და სარეგენტოს მაგიერ ბოლგარიისათვის ამოარჩევინოს რეგენტად ვინმეო. ეს რეგენტი წლისა და წლის თავზედ უნდა იცვლებოდეს ხოლმეო. ამავე გაზეთის სიტყვით, ბოლგარიის მმართველებს უკვე მხედველობაში ჰყავთ ორი კანდიდატი ბოლგარიის რეგენტას თანამდებობაზედ, ალეკო-ფაშა და შტრეკერ-ფაშა. ალეკო-ფაშა ძალიანა სცდილობს თურმე, რომ ის იქმნეს ამორჩეული ბოლგარიის რეგენტად.

—სტამბოლიდგან აუწყებენ გაზ. „Новости"-ს, რომ ბოლგარიის საქმის დასაბოლოვებლად და გადასაწყვეტად აქ დანიშნულ იქმნა კომისია დიდის ვეზირის თავ-მჯდომარეობითაო.

## გასართობი

**რას ჰფიქრობს იმპერატორი ვილჰელმი თავის ავადმყოფობაზე.** ერთს დღეს პრინც ვილჰელმის მეუღლე შევიდა იმპერატორთან სანახავად. იმპერატორმა ჰკითხა პრინცესას, წაიკითხე თუ არა დღევანდელი გაზეთებიო. როცა პრინცესამ უპასუხა, რომ დღეს გაზეთები არ გადამითვალიერებიაო, იმპერატორმა ნაღვლიანად უთხრა: მე მინდოდა შენგან შემეტყო, თუ რამდენად საშიშია ჩემი ავადმყოფობა. ექიმები ყოველთვის ღრმად დაფიქრდებიან ხოლმე, როცა მე დავეკითხები, და ბიულეტენებში კი ძალიან სანუგეშო ცნობებს აცხადებენ. სიმართლეს მხოლოდ ჟურნალისტებისაგან გაიგებს კა-

---

თება-კი აქამდინ ვერ მოუხერხებიათ. თუმცა აი ეს ედისონიცა ჰყავთ, რომელიც ისეთს გასაოცარს საქმეებს ჩადის, რომ კაცს თავს-ბრუ დეეხვევა, თვითონაც ოსტატები არიან და ხელიდამ სუყველაფერი გამოსდით, მაგრამ მაინც ვერ იქნა, ვერ ეღირსათ ისეთი ჰაეროსტატი გააკეთონ, რომ ჰაერში თავისუფლად დადიოდეს. ეს ედისონიც ამ „ნუტრიკატორს" გამოსდგომია და ჰაეროსტატისათვის ვეღარ მოუცლია...

—ჰო, ძალიან კარგი,—ეს ჰაეროსტატი ჰაეროსტატადაო,—მეტყვის მკითხველი, მაგრამ ეს ომი რაღა შუაშია? სად ჰაეროსტატი და სად ომი? რად ჰსურთ ამერიკელებს ევროპაში ომი? აი ბატონებო, რადა.

ამერიკელები ვიღასაც დაურწმუნებია, თუ თითონ დარწმუნებულან,—სწორედ არ ვიცი,—რომ ევროპაში ერთი სახელმწიფოაო, რომელსაც ვითომ დიდი ხანია ჰაეროსტატი გაუკეთებია და ისე კარგად არის თურმე ეს ჰაეროსტატი გაკეთებული, რომ ჰაერში კაცის ნებისამებრ დადის, როგორც გემი ზღვაშიო. მაგრამ ამ სახელმწიფოს შიგნით-შიგან აქვს ჰაეროსტატი შენახული, მაგრად აქვს ჩაკეტილი და არავის აჩვენებსო. ეს ჰაეროსტატები ისე ბლომად და კარგად აქვს მოწყობილი, რომ შეუძლიან დიდ-ძალი ჯარი ჰაერში აიყვანოს და ომის დროს იქიდგან ამოქმედოსო. ეს ბედნიერი სახელმწიფო, რომელიც დღეს ერთად-ერთი მცოდნე ყოფილა ჰაეროსტატებისა, საფრანგეთია თურმე. და აი საფრანგეთი ჯერ-ჯერობით ჰმალავს და არ ამჟღავნებს, რომ ვიცი ამისთანა ჰაეროსტატების გაკეთება და ხმარებაო. ომს ველოდები, რომ ომის დროს უპირატესობა მქონდეს და მტერი ადვილად დავამარცხოვო.

აპა, ომს ელოდე! ომი კიდევ, ღმერთმა იცის, როდის იქნება, და ეს საქვეყნო საქმე-კი საიდუმლოდ ინახება! მოდი და გაამტყუნე ამერიკელები, რომ ასე გულით მოწადინებულნი არიან, ომი ჩქარა იყოსო!

**

მართალია, ვითომ საფრანგეთს აქამდე მიუღწევია და ისეთი ჰაეროსტატები გაუკეთებია, რომ კაცს შეუძლიან თავის ნებაზე ატაროს ჰაერში, და თუ აქამდინ ამას ქვეყანას არ ეუბნება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ უნდა თავის მტერი ქლიტოს, ცხვირში ძმარი ადინოს, შეჰმუსროს,—ამაზედ სწორედ ვერას ვიტყვით და აი ერთს ისპანიელს-კი, სახელად ფერნანდეს, სწორედ სასიკვდილოდ გამოუყენებია ჰაეროსტატი.

ფერნანდესი გამოჩენილი ჰაერში-მავალი იყო ისპანიაში. ფერნანდეს ისე შეუყვარდა და ისე მოსწონდა თურმე ჰაერში მოგზაურობა, რომ თავის სიცოცხლეს თითქმის სულ ჰაერში ატარებდა. გაფრინდებოდა თავის ჰაეროსტატით მაღლა, მიმინოსავით დანავარდობდა ცის სივრცეში და ზემოდამ ძირს თავ-მომწონედ დაჰყურებდა ცოდვილს დედა-მიწასა. არ უყვარდა ეს ცოდვილი დედა-მიწა, შორს უდგებოდა, მაგრამ მაინც ვერსად წაუვიდა ამის ბრჭყალებს. ცოდვილ დედამიწის ცოდვილმა შვილმა გული ვერ გაიქვავა.

ერთხელ, როდესაც ფერნანდესი დედა-მიწაზე იყო, ერთი ქალი გაიცნო, რომელმაც ჰაერში მფრინავს გული სრულიად წაართვა და დაატყვევა. ფერნანდესმა სიყვარული გამოუცხადა ქალსა და იმის ცოლად შერთვაც მოიწადინა, მაგრამ ქალმა ძალიან ცივი უარი უთხრა:

—მე ისეთი ქმარი არ მინდა, რომელიც წეროსავით სულ ცისაკენ მიიწევს და დედა-მიწაზე გული არ უდგებაო.

—როგორც გნებავსო, უთხრა ფერნანდესმა: და მე-კი უშენოდ ვერც აქ, დედამიწაზე, და ვერც იქ, ჰაერში, ვერ ვიცოცხლებო. მეტი აღარა უთქვამს-რა.

გაიარა ცოტა ხანმა. ერთს მეიდანზე დიდ-ძალი ხალხი შემოჰხვეოდა ჰაეროსტატს. ამ ჰაეროსტატით ფერნანდესი მაღლა გაფრენას აპირებდა. აი მოამზადეს სუყველაფერი და ფერნანდესი ჩაჯდა ჰაეროსტატზე მიბმულ გოდორში. ფერნანდესის წინადვე დარიგებულმა კაცმა შესჭრა ჰაეროსტატს თოკები, რომლითაც ჰაეროსტატი დედამიწაზე იყო მიბმული და ჰაეროსტატი ისარსავით გაქანდა მაღლა. კარგა მაღლა რომ ავიდა, ჰაეროსტატი ერთბაშად აენთო და გაკაშკაშდა. ვინც დურბინდით უყურებდა ჰაეროსტატს, იმათ ცხადად დაინახეს, რომ ფერნანდესმა რაღაცა ააფეთქა და ჰაეროსტატს ცეცხლი მოუკიდა. სულ რამდენსამე წამს არ გაუვლია, რომ დამწვარ-დაბუგული ფერნანდესი დაეცა დედა-მიწაზე, ლუკმა-ლუკმად იქცა და მტვერივით გაიბნა.

სიყვარული აღვამაღლებსო, ამბობს რუსთაველი და მართალიც არის: მეტი სიმაღლე-ღა გინდათ,—ფერნანდესი ცაში აიყვანა. მაგრამ,—რას იზამთ,—იმავე სიყვარულმა ძირს დედა-მიწაზე დასცა და მტვრად დაანიავა. სიყვარული ნეტარებაა, რომელიც ფრთებს ასხამს კაცს, მაგრამ იმავე დროს ცეცხლიც არის, რომელიც იმავე ფრთებსა სწვავს.

დონ-იაგო

ცი, რადგანაც მხოლოდ ისინი შეიტყობენ ხოლმე ნამდვილსაო.

**

**ხიყვარული რას არ მოაქმედებინებს კაცს?** ქალაქმა პეშტში ერთს ახალგაზდა, თვრამეტის წლის ქალმა, მოდგმით და სარწმუნოებით ებრაელმა, გაიცნო თურმე თავის დის სახლში ერთი ქრისტიანი, აფთიაქში მოსამსახურე ყმაწვილი-კაცი, რომელმაც სრულიად შეიპყრო ახალგაზდა ქალის გული. ამ ქალის დამ არ თანაუგრძნო თურმე ებრაელის ქალისა და ქრისტიანე ყმაწვილის შეკავშირებასა და ამიტომაც თვისი და განდევნა სახლიდგან. ამის შემდეგ შეყვარებულებს არავითარი დაბრკოლება არ მისცემიათ და თავისუფლად დასტკბენ თურმე ერთიერთმანერთის სიყვარულითა. რადგანაც, მათდა საუბედუროდ, ვენგრიის კანონების ძალით აღკრძალულია ებრაელის ქალისა და ქრისტიანე ყმაწვილის დაქორწინება, შეყვარებულებმა განიზრახეს თურმე თავის მოკვლა და ამიტომაც ოპიუმი ჩაჰყარეს ღვინოში და დალიეს. საბედნიეროდ, ერთმა ნაცნობმა დროზე გაუგო ყმაწვილებს თავის მოწამლვა და შეატყობინა ექიმს, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა თურმე შეყვარებულები და დააბინავა ებრაელთა საავადმყოფოში.

**

**უბედურება სამხეცოში.** ქალაქ მილანის სამხეცოში მოხდა შემდეგი უბედურება: ფრანც რიუკერს, ოცის წლის ყმაწვილ-კაცს, რომელიც სამხეცოს პატრონს მოსამსახურედ დაექირავებინა, მიჰვარდა ესრედ წოდებული სამეფო ვეფხვი და ხელში ჩაუჭირა კბილები. საცოდავი ფრანცი ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა თავის დასახსნელად, მაგრამ იმისი ცდა სრულიად ამაო იყო. ამ დროს მოეშველა თვით სამხეცოს პატრონიც, რომელიც ცდილობდა რკინის ჯოხით მოეგერებინა განრისხებული მხეცი. ამ საშიშის ბრძოლის დროს ერთმა მაყურებელთაგანმა ცეცხლის საქრობ მილით წყალი მიუშვა თურმე ვეფხვს და ვეფხვმა თავი დაანება თავის მსხვერპლს. რიუკერს ხელი იმოდენად დაჭრილი ჰქონდა, რომ ექიმებმა მისი მოკვეთა არჩიეს; გადაურჩება თუ არა საბრალო რიუკერი ამ უბედურებას, არავინ იცის.

# დეპეშა

19 ივნისი

**პეტერბურგი.** დიდმა მთავარმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ და მისმა სახლობამ შესწირა 5,000 მანათი ვერნოში მიწის ძვრისაგან დაზიანებულთა სასარგებლოდ.

**მოსკოვი.** მოსკოვის ვაჭრების რჩეულთა კრებამ გადასდო ვერნოში მიწის ძვრისაგან დაზიანებულთათვის 10,000 მანათი და ცეცხლისაგან დაზიანებულთათვის კოსტრომაში—3,000 მანათი.

**ბერლინი.** „National Zeitung“-ს მიუღია სარწმუნო ცნობა იმაზედ, თუ რა ლაპარაკი ჰქონიათ 16-ს ივნისს სერბიის მეფესა და კალნოკისა: მეფეს უთქვამს, რომ თუმცა ეხლა მინისტრად რისტიჩია, მაგრამ თავოსნობა პოლიტიკაში მაინც ჩემი იქნებაო; მე პატიოსანის სიტყვით შეკრული ვარ და ჩემი დამოკიდებულება ავსტრიასთან ამ სიტყვაზეა დამყარებული; ამ სიტყვას მე არ გადვუგები და ჩემის სამინისტროს პასუხის-მგებლობას არ ამოვეფარებიო. შინაურთა საქმეთა გაძნელებამ მაიძულა რისტიჩისათვის მიმემართა და ამ მიზეზმაც, რომ რისტიჩს უფრო ენდობა უმრავლესობა სკუპშინისა. კალნოკის უპასუხნია, რომ ავსტრიას ფიქრადაც არა აქვს შეჰხოდოს სერბიის თავისუფლებას და ყურს არ ათხოვებს არც იმას, რაც აქამდის ყოფილა და არც იმას, რაც განზრახვაც აქვს თითონ რისტიჩსა. მით უფრო, რომ პირველ ფეხის გადადგმასვე რისტიჩმა მოიპოვა ნდობა ავსტრიისა, რომელიც თითქმის რამოდენადმე კმაყოფილიც არის მისის მეცადინეობისა, რომ რუსეთს დაუახლოვდეს, რადგანაც ამ დაახლოვების წყალობით ავსტრია თავს დაიხსნის ბევრის დავიდარაბისაგან. ავსტრიის მიმართ სერბია თვის ვალდებულებას ასრულებს, თუ მართლა დამოუკიდებელს პოლიტიკას მოეკიდება, შეაკავებს სერბის უმწვერვალეს პატრიოტებს და მოერიდება საზოგადო მშვიდობიანობისათვის საშიშარს საქციელსა.

**ლონდონი.** ქვედა პალატას აცნობეს, რომ რუსეთისა და საფრანგეთისაგან არავითარი ნოტა ინგლის-ოსმალთ კონვენსიის შესახებ ინგლისის მთავრობას არ მოსვლია. სულთანმა-კი დრო ითხოვა, მაგრამ პაემანს-კი ვერ მოგცემთო, რა დღეს დავამტკიცებ ამ კონვენციასაო.

**პეტერბურგის ბირჟა, 16-ს ივნისს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გარიგე-ბისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 20 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | 268 |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | — › | — › |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქედ ჩუჰზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**თიბათვე 30 დღით არის**

**20 დღე შაბათი.** წმ. მეთოდესი და ათანასესი. კათოლ. სილვერიასი და ფლორენტინასი. სომეხ. პოვნა ნაწილთა წმ. გრიგოლ სომეხთა განმანათლებელისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 12 დღისაა.

**21 დღე კვირა.** წმ. მოწ. იულიანესი და ტერენტისა; წმ. საქართველოს მეფეთა არჩილისა და ლუარსაბისა. კათოლ. ალოიზისა და ავრელიანისა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტფილისში დაიწყეს გამოცემა „ამიერ-კავკასიის მოამბისა“, 1836 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 13 დღისაა.

**22 დღე ორშაბათი.** მოწ. ევსევი ეპისკ. კათოლ. პავლინასი და ფრავიასი სომეხ. წმ. მოწ. ანტონინოსი, თეოფილესი და სხვათა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7 —37. მთვარე 14 დღისაა.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი. . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

**მიმოსვლა რკინის ზისა**

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოჩხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე. . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | › | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა. . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . , | › | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში ახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**II**

**დავით გურამიშვილი**

**ფასი 20 კაპ.**

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—8)


Дозв. цен. Тиф. 18 іюня, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე